




JSC ENERGO-PRO GEORGIA  
19 Zurab Anjaparidze street  
0186 Tbilisi, Georgia

სს „ენერგო-პრო ჯორჯია“  
ზურაბ ანჯაფარიძის ქ.19  
0186 თბილისი, საქართველო

N 20014422

17.05.2024

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსს  
ბატონ ვასილ გედევანიშვილს  
მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის 150.



ბატონო ვასილ,

თქვენი 2024 წლის 20 მარტის, N 21/2857 წერილის პასუხად, რომელიც ეხებოდა 2024 წლის 13 მარტს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მხრიდან წარმოდგენილ N2691 განცხადებას, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, აჭარის ფილიალის მაღალი ძაბვის (35 კვტ და მეტი) საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზებისა და ქვესადგურების (110 კვტ-ისა და მეტი ძაბვის) ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის ხარვეზებს, გაცნობებთ, რომ სრულად გავითვალისწინეთ თქვენი შენიშვნები, კერძოდ:

- წარმოდგენილ დოკუმენტაციას თან არ ახლავს გზშ-ის მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი. გაცნობებთ, რომ საქართველოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-11 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქმიანობის განმახორციელებლის მიერ წარდგენილ განცხადებას უნდა დაერთოს საქართველო კანონმდებლობით დადგენილი გზშ-ის მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი- იხ. დანართი I;
- გზშ-ის ანგარიშის თანახმად, დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური ანგარიში მოცემულია III დანართში, თუმცა აღნიშნული დანართი არ არის წარმოდგენილი- იხ. დანართი III;
- გზშ-ის ანგარიშში არ არის გათვალისწინებული სკოპინგის დასკვნით მოთხოვნილი საკითხი. კერძოდ, ინფორმაცია მშენებლობის ეტაპზე სასმელ-სამეურნეო წყლის მომარაგების, ასევე სამეურნეო-ფეკალური წყლების მართვის შესახებ- შენიშვნა გათვალისწინებულია, იხილეთ გზშ, თავი 7.2. ეგხ-ს რეაბილიტაციისას განსახორციელებელი სამუშაოების გეგმა.
- გზშ-ის ანგარიშში მოცემულია სკოპინგის ეტაპზე წარმოდგენილი მოსაზრებებისა და შენიშვნების შეფასების შესახებ ინფორმაცია ცხრილის სახით, თუმცა აღნიშნულ ცხრილში სრულყოფილად არ არის მოცემული სკოპინგის დასკვნით მოთხოვნილი საკითხები, მაგალითად საავტომობილო გზების დეპარტამენტის პოზიციასთან დაკავშირებული ინფორმაცია, ასევე ანძების განთავსების სამშენებლო მოედნებზე დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური (გეოტექნიკური) კვლევების შესახებ- შენიშვნა გათვალისწინებულია. იხ. დანართი II ;
- საქართველოს კანონმდებლობის, კერძოდ, „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №366 დადგენილების თანახმად, 110 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზისთვის დაცვის ზონა დგინდება საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის გასწვრივ მიწის ნაკვეთი და საჰაერო სივრცე, შემოსაზღვრული ვერტიკალური სიბრტყეებით, რომლებიც ხაზის ორივე მხარეს გადაუხრელ მდგომარეობაში მყოფი განაპირა სადენებიდან დაშორებულია 20 მ-ით. ვინაიდან ცვლილებით გათვალისწინებული საჰაერო ეგხ-ის დაცვის ზონა მოიცავს სახელმწიფო და კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებს (საკ. კოდები: 26.16.17.258, 26.16.17.098, 26.16.17.416 და ა.შ.), გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს საპროექტო ეგხ-ის დაცვის

ზონაში არსებულ მიწის ნაკვეთების მესაკუთრეების ინფორმირების/შეთანხმების შესახებ ინფორმაცია -

შენიშვნა გათვალისწინებულია: რაც შეეხება სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს, როგორც მოგეხსენებათ პროექტი დაიგეგმა სახელმწიფო ელექტროსისტემის დაკვეთით და სახელმწიფოს დავალებით, შემაბამისად აღნიშნულ საკითხს ათანხმებს სახელმწიფო ელექტროსისტემა, მისი ინტერესებიდან გამომდინარე. ამასთან სს „ენერგო-პრო ჯორჯიაშ“ ეგხ-ს საყრდენების საძირკველისათვის მოსახლეობისაგან და სახელმწიფოსაგან უკვე შეიძინა ოთხი ნაკვეთი (დანართი IV), ასევე გააფორმა შეთანხმება კერძო მესაკუთრესთან (დანართი IV). ასევე წარმოგიდგენთ სახელმწიფო ელექტროსისტემისა და სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თანხმობის წერილებს. (იხილეთ დანართი IV).

- გზშ-ის ანგარიშის თანახმად, გათვალისწინებულია 110 კვ ეგხ „ჩაქვის“ N183 და N184 არსებული საყრდენების დემონტაჟი და სადემონტაჟო საყრდენის ადგილას 2 ცალი YC110-5 ტიპის საყრდენის განთავსება. აღნიშნული ანძები მოიცავს კერძო (ს/კ 26.16.17.199) და სახელმწიფო (ს/კ 26.16.17.394) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებს, შესაბამისად გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს აღნიშნული ნაკვეთების სარგებლობის (მათ შორის მესაკუთრის ინფორმირების/შეთანხმების) შესახებ ინფორმაცია- შენიშვნა გათვალისწინებულია. სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მიერ საყრდენების საძირკველისათვის შექმნილი მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდებია: N 26.16.17.411 36 კვ.მ.; N 26.16.17.412 36 კვ.მ.; N 26.16.17.413 81 კვ.მ. ; N 26.16.17.417 31 კვ.მ.; ასევე გაფორმებულია შეთანხმება მიწის მეპატრონესთან საკადასტრო კოდით N 26.16.17.199. (იხილეთ დანართი IV). რაც შეეხება სახელმწიფო (ს/კ 26.16.17.394) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს, როგორც მოგეხსენებათ პროექტი დაიგეგმა სახელმწიფო ელექტროსისტემის დაკვეთით და სახელმწიფოს დავალებით, შემაბამისად აღნიშნულ საკითხს ათანხმებს სახელმწიფო ელექტროსისტემა, მისი ინტერესებიდან გამომდინარე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე წარმოგიდგენთ საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის წერილს ასევე სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თანხმობის წერილებს. (იხილეთ დანართი IV).

- გზშ-ის ანგარიშში არ არის მოცემული გზშ-ის ანგარიშის მომზადებაში მონაწილე პირების კვალიფიკაციის შესახებ ინფორმაცია, მათ მიერ მომზადებული საკითხების მითითებით - შენიშვნა გათვალისწინებულია. იხილეთ გზშ-ს დოკუმენტში გვერდი 100.

- წარმოდგენილ Shp ფაილებში დაგეგმილ ეგხ-ების Shp ფაილებთან ერთად ასევე მოცემულია ქვესადგურ „ოზურგეთში“ შემავალი, პროექტისგან განსხვავებული ეგხ-ის და მასთან მისასვლელი გზების Shp ფაილები. თუმცა აღნიშნულ ეგხ-ის და მასთან მისასვლელი გზების შესახებ ინფორმაცია არ არის მოცემული გზშ-ის ანგარიშში. ამასთან წარმოდგენილი Shp ფაილების დასახელება უნდა შეესაბამებოდეს მასში ასახული სივრცითი ობიექტის დასახელებას-აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ ქვესადგურ „ოზურგეთში“ შემავალი გზები სახელმწიფო ელექტროსისტემის მიერ არის მოწყობილი და შესვლა-გამოსვლის ოთხი ახალი საყრდენისათვის გამოსაყენებელია, რაც შეეხება ორ საყრდენს რომელიც ძველ ლოკაციაზე დგება იქ გამოყენებული იქნება ის მისასვლელი გზები, რომელიც მუდამ გამოიყენებოდა ეგხ „ჩაქვის“-ა და ეგხ „ანასეული“-ს ექსპლუატაციის დროს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გიგზავნით 6 საყრდენის და მათ დამაკავშირებელ ეგხ-ების Shp ფაილებს. დამატებით კომპანიას გააჩნია თანხმობის წერილები საგზაო დეპარტამენტიდან, სახელმწიფო ელექტროსისტემიდან და სახელმწიფო ქონების მართვის სააგენტოდან. შესაბამისი ინფორმაცია ასევე მოცემულია გზშ-ს დოკუმენტში, თავი 7.1. იხ. დანართები.

- გზშ-ის ანგარიშის თანახმად, დაგეგმილია 6 საყრდენი ანძის მოწყობა, თუმცა ქვეთავში 10.1 (ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე) აღნიშნულია, რომ სადემონტაჟო/სამონტაჟო საყრდენების რაოდენობა იქნება 17 ერთეული, შესაბამისად აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას- შენიშვნა გათვალისწინებულია;

- „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად არატექნიკური რეზიუმე არის გარემოზე ზემოქმედების შეფასების მოკლე აღწერა, რომელიც მოიცავს ინფორმაციას საქმიანობის განმახორციელებლის, საქმიანობის განხორციელების ადგილის გარემოში/სოციალის უსამართლობაში შესაძლო ზემოქმედების შესახებ ინფორმაციას.

გათვალისწინებული სხვა საკითხების თაობაზე, რომელიც შესრულებულია არატექნიკურ ენაზე და თან ერთვის გრაფიკული და საილუსტრაციო მასალები. წარმოდგენილ არატექნიკურ რეზიუმეში მოცემული მასალების ძირითადი ნაწილი გზშ-ის ანგარიშის იდენტურია- შენიშვნა გათვალისწინებულია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტოს კანონმდებლობის შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიზნით, წარმოგიდგენთ კორექტირებულ გზშ-ის ანგარიშს ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით, რომელსაც თან ერთვის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ განსაზღვრული დოკუმენტაცია.

წერილს თან ერთვის:

1. 110კვ მბზვის ეგზ-ბის „ჩაქვი“-სა და „ანასელი“-ს „შესვლა-გამოსვლის“ მოწყობა ქვ/ს „ოზურგეთი-220“-ში, გარემოზე ზემოქმედების ანგარიში და არატექნიკური რეზიუმე.
2. გზშ-ის მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი. დანართი I.
3. საავტომობილო გზების დეპარტამენტისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს თანხმობის წერილები. დანართი II.
4. საინჟინრო-გეოლოგიური ანგარიში დანართი III.
5. საყრდენების ნაკვეთების შექმნის დამადასტურებელი ამონაწერები (ოთხი ახალი საყრდენისათვის), შეთანხმების წერილი კერძო მესაკუთრესთან (ს/კ 26.16.17.199), სახელმწიფო ელექტროსისტემის და სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თანხმობის წერილები. დანართი IV.
6. Shp- ფაილები;

პატივისცემით,

გრიგოლ მამისეიშვილი  
დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე

